# მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

(ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ №19-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობა)

## განმარტებითი ბარათი

# მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

# განმარტებითი ბარათი

## I მშენებლობის ონგანიზაციის პროექტის შედგენის საფუძველი და ნორმატიული ბაზა

1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და წ 3.01.01-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს, მშენებლობაზე ხანზარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვით.

2. მშენებლობის ორგანიზაციის პრეოქტის შედგენას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
   - დავალება პროექტირებაზე;
   - პროექტით მიღებული არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტილება;
   - გეოდეზიური გეგმები და პროფილები;
   - ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად.
   სნ და წ 3.0.10.1-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"
   სნ და წ 1.0.40.3-85 "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე"
   სნ და წ III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში"

4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა წარმოებდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

5. მშენებლობის გაგრძელება დაიშვება არქინსპექციის სათანადო ნებართვის აღების შესახებ.

## II სამშენებლო მოედნის და ობიექტის დახასიათება

1. სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №19-ში.

2. შენობის კონსტრუქცია მონოლითური რკინა ბეტონით არის წარმოდგენილი, გააჩნია ქანობიანი გადახურვა.

3. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით, მშენებლობის ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან სეისმურ ზონაში.

4. სამშებებლო პროცესების წარმოება უნდა მოხდეს შეზღუდული სამუშაო ფრონტის გათვალისწინებით.

5. სამუშაოთა წარმართვა აუცილებელია ინსტრუმენტალური კონტროლის ქვეშ, რომელიც ხორციელდება სნ და წ. 3.02.07-87 "გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში" მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.
7. მშენებლობის ცალკეულ ეტაპზე მშენებლობის წარმოების საკითხები უფრო დეტალურად განხილულია მომდევნო გვერდებზე.

8. მშენებლობა აუცილებელია წარიმართოს დამტკიცებული პროექტის სრული შესაბამისობით. მშენებლობის პროცესში ობიექტური მიზეზებით ნახაზებში ცვლილებების შემთხვევაში გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს ავტორთან მათგან ოფიციალური ნებართვის გაცემითა და ახალი ნახაზების გამოშვებით.

9. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება აუცილებელია ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით.

## III მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები.

1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ნორმატივების საფუძველზე. 1987 წელს მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა "კრებული სამახსოვრო" სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტიდან. მათი ნაწილი ინახება შ.პ.ს. "მშენაღდგენაში" და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

2. ქვემოთ მოყვანილია მოქმედი ნორმედი და წესები რომდებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო კომპანიამ სამშენებლო სარემონტო წარმოების დროს:

   - სნ და წ 111-17-78 "ქვის კონსტრუქციები"
   - სნ და წ 111-20-74 "ბურულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია და თბოიზოლაცია"
   - სნ და წ 111-21-79 "სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები"
   - სნ და წ 111-3-14-78 "იატაკები"
   - სნ და წ 3.04.03-85 "კოროზიისაგან დაცვა"
   - სნ და წ 111-28-79 "შენობებისა და ნაგებობების სანიტარული მოწყობა"
   - სნ და წ 111-29-79 "გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობები, გარე ქსელები და ნაგებობები"
   - სნ და წ 111-30-79 "წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები"
   - სნ და წ "ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები"

- სნ და წ “ტერიტორიის კეთილმოწყობა”

- სნ და წ “უსაფრთხოების ტექნიკა”

- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას.

- სნ და წ 1.06.05-85 “მშენებლობის საპროექტო ორგანიზაციის მიერ საავტორო ზედამხედველობა”

- ინსტრუქცია “მშენებლობით დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება”

## V მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა.

მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა წარმოებს სნ და წ 1.04.03-85 “მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები”-ით, განყოფილება საცხოვრებელი სახლები.

ვინაიდან უნდა წარიმართოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები მშენებლობის ხანგრძლივობად მიღებული იქნა 15 თვე.

დამკვეთის სურვილის დაკმაყოფილება შეიძლება მშენებლობის წარმოებით ნაკადური მეთოდებით უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

## VI მშენებლობის წარმოებისას უსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო სარემონტო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ 11-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიული საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.

მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომპლექსური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

2. ადვილად აალებადი სამღებვრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიურ მოთხოვნილებას.

3. ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, პარკეტზე ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოებზე მუშები უნდა იყენებდეს სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს.

4. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობების გათვალისწინებით. ამავე დროს ისინო უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

5. ლექტრო უსაფრთხოების სისტემა ჩამოყალიბებულია საქსტანდარტში 12.1.013-88. ლექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

6. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. თელასის ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისკენ.

## VII ეკოლოგიისა და ბუნების დაცვა

1. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანის ძარაზე.

2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში გახადებს საჭიროა შემოეფარდოს ფარდად რათა ამ შემთხვევაში არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

3. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო სისტემაში ხსნარების ჩარეცხვა სამშენებლო ნარჩენებით.

4. არემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგაევების მოჭრა.

5. ზემოთ მითითებული ღონიძიებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნებისდაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდებო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისობით.

შპს "ერ-თი-ჯი"-ს დირექტორი - რ. ჩაჩუა

მიცკევიჩის ქუჩაზე №19-ში მდებარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების

გრაფიკი

| ## | სამუშაოთა ჩამონათვალი | თვეები 2012 წელი | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | | | | | | | | |
| 2 | მიწის სამუშაოები | | | | | | | | | | | | |
| 3 | შენობის გამაგრება | | | | | | | | | | | | |
| 4 | კონსტრუქციები | | | | | | | | | | | | |
| 5 | სახურავი | | | | | | | | | | | | |
| 6 | ფასადი | | | | | | | | | | | | |
| 7 | სარემონტო სამუშაოები | | | | | | | | | | | | |
| 8 | ეზოს კეთილმოწყობა | | | | | | | | | | | | |

შპს ერ-თი-ჯი-ს დირექტორი



რ. ჩაჩუა